**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შენიშვნები, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტთან დაკავშირებით**

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შემოტანილი მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობები არარეალურია. (მაგ. მე-5 მუხლი - სხვა შემოსავლები ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილია 5 341,3 ათასი ლარი. ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ გასულ წლებში ამ მუხლით ბიუჯეტში არ შემოსულა 2.000 ათას ლარზე მეტი, ხოლო 2024 წელს შეიძლება შემოვიდეს 2.200 ათას ლარზე ცოტა მეტი და სხვა) აქედან გამომდინარე დასაზუსტებელია ბიუჯეტის შემოსულობები და შემოსავლები და შესაბამისად დასაზუსტებელია საბიუჯეტო ასიგნებები;

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მე-10 მუხლში, ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განსაზღვრულია 1, 000 ათასი ლარით.

გთხოვთ, დამატებით გვაცნობოთ აღნიშნული ცვლილების რაოდენობის წარმოშობის შესახებ და მოგვცეთ განმარტება, რამდენად შესაბამისობაშია ეს საბიუჯეტო კოდექსთან;

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებებში (მუხლი 14 ) კოდი 02.09. მოყვანილი იქნას შესაბამისობაში მე-18 მუხლთან;

4.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში მე-17 და მე-19 მუხლები მოსაყვანია შესაბამისობაში ერთმანეთთან. უმჯობესია, წარმოდგენილი იყოს ერთ მუხლად;

5. მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენების ქსელის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საბიუჯეტო ასიგნებები;

6. 06. 01. 01 ორგანიზაციულ კოდზე ასიგნებების მოცულობა არის 0. გთხოვთ, დააზუსტოთ შესაბამის სამინისტროსთან გრანტის მოცულობა და ასახოთ საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.